



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კეჭნაობა

კეჭნაობა, შ უ ლ ლ ი, ჭ რ ა, ქართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა. არსებობდა უძველესი დროიდან XX ს. 50-იან წლებამდე.

ხევსურეთში გავრცელებული ფარიკაობა ხმლებითა და პატარა ფარებით. იყენებდნენ თითებზე წამოსაცმელ საბრძოლო რგოლებსაც, რ-ებსაც „სათითენს“ ეძახდნენ. ბავშვებს ორთაბრძოლის ხერხებს 5-6 წლის ასაკიდან ასწავლიდნენ: „ბავშვების, განსაკუთრებით ვაჟების აღზრდას ხევსურები დიდის ყურადღებით ეპყრობიან... პატარაობიდანვე ავარჯიშებენ ფარიკაობასა და მშვილდისრობაში, და ამგვარად ხევსურები ბავშვობიდან ემზადებიან შუღლისა და კეჭნაობისათვის“ (ს. მაკალათია).

კ-ის მიზეზი უფრო ხშირად ძველი წყენა, ანუ „ჯავრი“ იყო. ერთმანეთს ებრძოდნენ შელახული თავმოყვარეობის აღსადგენად, ხალხის, ძირითადად, ქალების წინაშე საკუთარი ვაჟკაცობის გამოსავლენად. მოშულეები ცდილობდნენ მეტოქე დაეჭრათ თავის არეში – შუბლის სამი ნაოჭის ბემოთ, ამასთან ისე მსუბუქად გაეკანრათ, რომ ერთ წვეთზე მეტი სისხლი არ გამოედინათ. გამარჯვებულად ითვლებოდა ის, ვინც მონინაალმდეგეს მეტ ამგვარ ჭრილობას მიაყენებდა. შუბლის ნაოჭებს ქვემოთ გაკანვრის ან მძიმედ დაჭრისათვის დაბარალეულს (სათითენით იქნებოდა დაჭრილი თუ ხმლით), „რჯულის კანონის“ თანახმად, ასანაზღაურებელი, ანუ „დრამა“ უნდა მიეღო. რაოდენობას შუაკაცი და „აქიმი“, ანუ დასტაქარი განსაზღვრავდა: ჭრილობის სიგრძე-სიგანეს ძაფით გაზომავდნენ, ზომას ბრტყელ ქვაზე გადაიტანდნენ, ზედ ქერის მარცვლებს დაალაგებდნენ, კიდურა მარცვლებს მოაკლებდნენ და დანარჩენით დრამის ოდენობას ადგენდნენ – ქერის თითოეული მარცვალი ერთი ძროხის საფასურს უდრიდა. თავის ქალის დაზიანების შემთხვევაში დამჭრელს დაბარალეულისთვის 12 ძროხის საფასური უნდა გადაეხადა.

ასეთი ტრავმების გამო ხევსურ დასტაქრებს რთული ქირურგიული ოპერაციაც არაერთხელ ჩაუტარებიათ.

კ-ის ელემენტები საფუძვლად დაედო ცეკვა "ფარიკაობას". მისმა კანონებმა (ხმალს არ დაჰკრავდნენ უიარაღოს, ნაქცეულს, ბურგშექცევით მდგომს) განსაზღვრა ამ ცეკვის ტრადიციული რაინდული ბუნება.

ლიტ.: თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართული ცეკვების განმარტებანი, თბ., 1986; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ხევსურეთი, თბ., 1984.

პ. ყიფიანი
